



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/4198-15

10 ნოემბერი, 2015 წელი
თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა

თავმჯდომარე - ხათუნა არევაძე
მოსამართლეები: ლილი ტყემალაძე
ვანო წიკლაური

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

საჩივრის ავტორი – ლ. მ.
წარმომადგენელი - ზ. კ.

მოწინააღმდეგე მხარე – თ. ბ.
წარმომადგენელი - დ. გ.

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 აგვისტოს განჩინება

დავის საგანი - ალიმენტის დაკისრება

სამოქალაქო საქმეთა პალატამ გამოარკვია:

2015 წლის 20 აგვისტოს თ. ბ.-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. მ.-ს მიმართ, არასრულწლოვანი შვილის – 2014 წლის XX აგვისტოს დაბადებული გ. მ.-ს



რჩენა–აღზრდისთვის ალიმენტის სახით ყოველთვიურად 2000 ლარის დაკისრების შესახებ. აღნიშნული სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით თ. ბ.-მ მოითხოვა მოპასუხე ლ. მ.-ს კუთვნილი ქონების, კერძოდ, შპს „გ. ფ. ჯ.-ში“ 25.00 %-იანი წილის, შპს „პ. ე. ჯ.-ში“ 60.00%-იანი წილისა და შპს „ჯ. ე. ტ.-ში“ 50.00%-იანი წილის გასხვისების და ნებისმიერი ფორმით უფლებრივი დატვირთვის აკრძალვა შემდეგი საფუძველით: 2014 წლის 02 აგვისტოს მხარეებს შეეძინათ საერთო შვილი გ. მ.. მცირეწლოვანი შვილი ცხოვრობს დედასთან. მოპასუხე თავს არიდებს შვილის რჩენას და არ იღებს მონაწილეობას მის აღზრდა-განვითარებაში. მოსარჩელის წარმომადგენლის მოსაზრებით, საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების ადეკვატურ საპროცესო ღონისძიებას წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულებას უნდა მოემსახუროს მოპასუხის საკუთრებაში არსებული ფულადი სახსრები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 აგვისტოს განჩინებით განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ლ. მ.-ს (პ/№XXXXXXXXXX) აეკრძალა შპს „გ. ფ. ჯ.-ში“ (საიდენტიფიკაციო ნომერი XXXXXXXXX) 25.00%-იანი წილის, შპს „პ. ე. ჯ.-ში“ (საიდენტიფიკაციო ნომერი XXXXXXXXX) 60.00%-იანი წილის და შპს „ჯ. ე. ტ.-ში“ (საიდენტიფიკაციო ნომერი XXXXXXXXX) 50.00%-იანი წილის გასხვისება და ნებისმიერი ფორმით უფლებრივი დატვირთვა.

აღნიშნული განჩინება ემყარება შემდეგ გარემოებებსა და სამართლებრივ დასკვნებს:

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერების საფუძველზე დადგენილია, რომ შპს „გ. ფ. ჯ.-ში“ 25.00 %-იანი წილის, შპს „პ. ე. ჯ.-ში“ 60.00% წილის და შპს „ჯ. ე. ტ.-ში“ 50.00% წილის მესაკუთრეს წარმოადგენს ლ. მ..

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება



ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფა ესაა სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება მოპასუხისათვის გარკვეული უფლებების შეზღუდვის გზით და მისი მიზანია დაცულ იქნეს დავის საგანი მომავალში გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფისათვის.

იმ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითების ვალდებულება, რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გატარების აუცილებლობის შესახებ, ეკისრება განმცხადებელს. საბოლოოდ საკითხს იმის შესახებ, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული წყვეტს სასამართლო მოთხოვნის ხასიათისა და მისი შინაარსიდან გამომდინარე. განმცხადებელი ვალდებულია სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაში მიუთითოს არა მარტო იმაზე, თუ რომელი ღონისძიების გატარება სურს, არამედ იმაზეც, თუ რატომაა აუცილებელი მის მიერ მითითებული ღონისძიების გატარება გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო. ამავე კოდექსის 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველსაყოფად შეიძლება გამოყენებული იქნეს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა;

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ წარდგენილი განცხადება აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 192-ე მუხლებით დადგენილ პირობებს, ვინაიდან შეიცავდა მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას; კერძოდ, განმცხადებელი მიუთითებდა ქონების განკარგვის საშუალებაზე, რის გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა შეუძლებელს გახდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობა სახეზე იყო, ვინაიდან სადავო ქონების მესაკუთრე იყო მოპასუხე **ლ. მ.**, რაც მას ანიჭებდა უფლებამოსილებას თავისუფლად განეკარგა საკუთრებაში არსებული ქონება. ქონების განკარგვის შემთხვევაში კი, შესაძლო იყო მცირეწლოვანი **გ. მ.** მისი ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელი სარჩოს გარეშე აღმოჩენილიყო, თუკი მოპასუხე თავს აარიდებდა მასზე ზრუნვას.



ზემოაღნიშნულ განჩინებაზე 2015 წლის 31 აგვისტოს საჩივარი წარადგინა ლ. მ.-ს წარმომადგენელმა – ზ. კ.-მ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება (ს.ფ. 45- 48);

საჩივრის ავტორის განმარტებით, განჩინებაში არაფერია ნათქვამი თუ რა გადაუდებელი აუცილებლობა არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის, არ არის დასაბუთებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობის შემთხვევაში რატომ გაძნელებდა ან რატომ გახდებდა შეუძლებელი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. არ არსებობს რაიმე საფრთხე იმისა, რომ ლ. მ. გაასხვისებს ქონებას ან თავს აარიდებს შვილის რჩენასა და ზრუნვას მის აღზრდა-განვითარებაზე.

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სასამართლოს მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეუსაბამო, არათანაზომიერი და არაადეკვატურია მოცემულ დავასთან მიმართებაში, რადგან ამგვარი შეზღუდვით შესაძლოა დაზარალდეს ბიზნესი და ხელი შეემალოს საწარმოს გამართულ ფუნქციონირებას.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საალიმენტო ვალდებულება პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა, ხოლო ხანგრძლივი დროით ხსენებულ კომპანიებში წილების გასხვისების და უფლებრივი დატვირთვის აკრძალვა უარყოფითად იმოქმედებს აღნიშნული საწარმოების პრესტიჟსა და რეპუტაციაზე, რაც საბოლოო ჯამში აისახება კომპანიების შემოსავლებზე და ამ კომპანიებიდან ლ. მ.-ს მიერ მისაღები დივიდენდების ოდენობაზე; ყოველივე ეს კი ასევე უარყოფითად იმოქმედებს და დააზარალებს მცირეწლოვანი გ. მ.-ს ინტერესებს, რადგან მამის შემოსავლებზეა დამოკიდებული შვილის რჩენა და მატერიალური უზრუნველყოფა.

მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხე ლ. მ. არის შპს „გ. ფ. ჯ.-ში“ (საიდენტიფიკაციო NXXXXXXXXX) 25.00%-იანი წილის, შპს „პ. ე. ჯ.-ში“ (საიდენტიფიკაციო NXXXXXXXXX) 60.00%-იანი წილის და შპს „ჯ. ე. ტ.-ში“ (საიდენტიფიკაციო NXXXXXXXXX) 50.00 %-იანი წილის მესაკუთრე და მას თავისუფლად შეუძლია განკარგოს ეს ქონება, არ წარმოადგენს განცხადების დაკმაყოფილების საკმარის საფუძველს; მით უფრო, რომ განსახილველ შემთხვევაში აღნიშნული ქონება არ არის სადავო, როგორც ამას სასამართლო მიუთითებს განჩინების სამოტივაციო ნაწილში.

საჩივრის ავტორის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს არავითარი საფრთხე იმისა, რომ ლ. მ. გაასხვისებს ხსენებულ ქონებას ან/ და საჭიროებისამებრ მისი გასხვისების შემთხვევაშიც კი, თავს აარიდებს შვილის რჩენას და ზრუნვას მის აღზრდა-განვითარებაზე. მოსარჩელის განცხადებით, მოპასუხე თავს არიდებს შვილის რჩენას და არ იღებს მონაწილეობას მის აღზრდა-განვითარებაში, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ამის



დასადასტურებლად საჩივრის ავტორი მიუთითებს მიერ წარმოდგენილ საბანკო გადარიცხვების ამონაწერებზე და განმარტავს, რომ, დასახელებული მტკიცებულებების მიხედვით, ლ. მ.-ს მამამ – პ. მ.-მ, შვილის დავალებით (თხოვნით), ბავშვის დაბადებისთანავე, თ. ბ.-ს ანგარიშზე გადარიცხა 10 000 აშშ დოლარი და განქორწინების შემდეგ, ყოველ თვე (ბავშვის რჩენის და მატერიალური უზრუნველყოფისათვის) ურიცხავდა მას 1 500 ლარს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 08 სექტემბრის განჩინებით ლ. მ.-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდა და იგი გადმოეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალების საფუძველზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ბ.-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. მ.-ს მიმართ მცირეწლოვანი შვილის - გ. მ.-ს რჩენისათვის 2000 ლარის ოდენობით ალიმენტის დაკისრების მოთხოვნით. სასამართლომ განმარტა, რომ საჩივარში მითითებული გარემოებები საფუძვლად ვერ დაედებოდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას, ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაში მოსარჩელე განმარტავდა, რომ დავის მიმდინარეობის მთელი დროის განმავლობაში მოპასუხეს დაუბრკოლებლად შეეძლო განეკარგა მის საკუთრებაში არსებული ქონება და თავი აერიდებინა სარჩელით დაკისრებული საალიმენტო თანხების გადახდისაგან. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის შეფასებისას სასამართლო იხილავს მას კონკრეტულ სარჩელთან მიმართებაში და არ მსჯელობს სარჩელის საფუძვლიანობაზე, არამედ შეუძლია გააკეთოს მხოლოდ იმის შეფასება, რამდენად შეუძლებელი გახდება ან გამძნელდება გადაწყვეტილების აღსრულება სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში. ამ საკითხის განხილვისას სასამართლო არ ეხება საქმის არსებით მხარეს, როგორცაა მოთხოვნის დასაბუთებულობა და მისი საფუძვლიანობა, არ იკვლევს მტკიცებულებებს. სასამართლო მხოლოდ იმის გარკვევით შემოიფარგლება, რამდენად არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი.

სასამართლომ განმარტა, რომ „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-2 მუხლის პირველი და მეორე ნაწილის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც წინამდებარე კონვენციითაა გათვალისწინებული, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რამ ვითარების განურჩევლად. მონაწილე სახელმწიფოები ყოველგვარ აუცილებელ ზომას



ღებულობენ დისკრიმინაციის ყველა იმ ფორმისა და სასჯელისაგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლებიც უკავშირდება ბავშვის, ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრთა სტატუსს, საქმიანობას, მათ მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და მათ გამჟღავნებულ მრწამსს. ამავე კონვენციის მე-3 მუხლის პირველი და მეორე ნაწილის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები - უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. მონაწილე სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა ბავშვის მშობლის, ბავშვის მიმართ პასუხისმგებლობის მტვირთელი კანონიერი მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და მზრუნველობით, რომელიც აუცილებელია მისი კეთილდღეობისათვის და ამისათვის იღებენ ყველა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებული იყო და არ არსებობდა მისი გაუქმების საფუძველი, ამასთან, საჩივრის ავტორმა ვერ მიუთითა კონკრეტულად რა სახით შეიძლებოდა დაზარალებულიყო ბიზნესი და რატომ შეეშლებოდა საწარმოს ხელი გამართულ ფუნქციონირებაში, მაშინ, როდესაც საწარმოს მიმართ არ განხორციელებულა რაიმე ღონისძიება და ლ. მ.-ს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული წილის განკარგვა ან უფლებრივად დატვირთვა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. მ.-ს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე და იგი საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა ზემდგომ სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება - დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ლ. მ.-ს საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 20 აგვისტოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე



მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ ზემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

სამოქალაქო საქმეთა პალატა იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. აღნიშნული ინსტიტუტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა წინასწარი და დროებითი ხასიათის ღონისძიებაა და ხდება დარღვეული ან სადავო უფლების შესახებ სასამართლოს არსებითი მსჯელობისაგან დამოუკიდებლად, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. ხშირ შემთხვევებში კრედიტორისათვის, რომლის სასარგებლოდაც გადაწყდება დავა, სასამართლოს მიერ დადგენილ მოთხოვნას პრაქტიკული ღირებულება ეკარგება, რადგან აღმოჩნდება, რომ სასამართლოში საქმის განხილვის ხანგრძლივობის გამო ფაქტობრივი ვითარება კრედიტორის საუარესოდ შეიცვალა, ან მოვალე ამასობაში გადახდისუუნარო გახდა, ან ქონება, რომელზეც უნდა მიქცეულიყო აღსრულება, მოვალემ გაასხვისა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლო არ იკვლევს მტკიცებულებებს სარჩელის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით,



არამედ ხელმძღვანელობს სამართლებრივი დასკვნით, რომ შესაძლოა სარჩელი დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნორმის ანალიზიდან და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნობრიობიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა განმარტავს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მაქსიმალურად გათვალისწინებული უნდა იქნეს ორივე მხარის კანონიერი ინტერესი და სარჩელის უზრუნველყოფის და დავის საგნის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, რითაც ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესის რეალიზაცია და მისი სარჩელის უზრუნველყოფა, არ უნდა მოხდეს მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის უპირობო და ცალსახა შელახვა, არამედ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა განხორციელდეს მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის გონივრულ ფარგლებში შეზღუდვა-შევიწროებით და იმ ოდენობით, რაც აუცილებელია მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცულობისათვის.

სამოქალაქო საქმეთა პალატა ამასთანავე განმარტავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმისათვის, რომ მოხდეს მხარეთა ინტერესების დაბალანსება, უნდა გამოირიცხოს არაადეკვატური, არათანაზომიერი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 20 აგვისტოს განჩინებით ლ. მ.-ს (პ/N⁰XXXXXXXXXX) აკრძალა შპს „გ. ფ. ჯ.-ში“ (საიდენტიფიკაციო ნომერი XXXXXXXXXXXX) 25.00%-იანი წილის, შპს „პ. ე. ჯ.-ში“ (საიდენტიფიკაციო ნომერი XXXXXXXXXXXX) 60.00%-იანი წილის და შპს „ჯ. ე. ტ.-ში“ (საიდენტიფიკაციო ნომერი XXXXXXXXXXXX) 50.00%-იანი წილის გასხვისება და ნებისმიერი ფორმით უფლებრივი დატვირთვა, რაც სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებით, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით განხილულ უნდა იქნეს არაადეკვატურ ღონისძიებად.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფა წარმოადგენს დროებით ღონისძიებას, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს სასამართლო დავის დასრულებამდე გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის ან გაძნელების საფრთხის თავიდან აცილების საფუძველით. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხე ლ. მ.-სათვის, არასრულწლოვანი შვილის – 2014 წლის XX აგვისტოს დაბადებული გ. მ.-ს რჩენა–აღზრდის მიზნით, ალიმენტის სახით ყოველთვიურად 2000 ლარის დაკისრება, მის სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე. აღნიშნული სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით თ. ბ.-მ მოითხოვა მოპასუხე ლ. მ.-ს კუთვნილი ქონების, კერძოდ, შპს „გ. ფ. ჯ.-ში“ 25.00 %-იანი წილის, შპს „პ. ე. ჯ.-ში“ 60.00%-იანი წილისა და შპს „ჯ. ე. ტ.-ში“ 50.00%-იანი წილის გასხვისების და ნებისმიერი ფორმით უფლებრივი დატვირთვის აკრძალვა; ე.ი. სახეზე



პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოპასუხეს ხანგრძლივი დროის – წლების განმავლობაში, ყოველთვიურად ალიმენტის სახით არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სასამართლოს მიერ განსაზღვრული თანხის გადახდა; შესაბამისად, მთელი ამ წლების განმავლობაში დასახელებულ საწარმოებში მოპასუხისათვის მისი კუთვნილი წილების გასხვისების ან ნებისმიერი ფორმით უფლებრივი დატვირთვის აკრძალვა, არ წარმოადგენს მოცემული სარჩელის უზრუნველსაყოფად გატარებულ ადეკვატურ ღონისძიებას.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის თ. ბ.-ს სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

ამდენად სამოქალაქო საქმეთა პალატა მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, და მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით, ასევე მხარეთა ინტერესების თანაბარზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, წარმოიშობა განხორციელებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს. ამავე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, განჩინება მიიღება საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე, 372-ე, 377-ე, 419-ე, 420-ე და 390-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. მ.-ს საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 აგვისტოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.
3. თ. ბ.-ს მოთხოვნა ლ. მ.-სათვის (პ/№XXXXXXXXXX) შპს „გ. ფ. ჯ.-ში“ (საიდენტიფიკაციო ნომერი XXXXXXXXXX) 25.00%-იანი წილის, შპს „პ. ე. ჯ.-ში“ (საიდენტიფიკაციო ნომერი XXXXXXXXXX) 60.00%-იანი წილის და შპს „ჯ. ე. ტ.-ში“ (საიდენტიფიკაციო ნომერი XXXXXXXXXX) 50.00%-იანი წილის გასხვისებისა და



ნებისმიერი ფორმით უფლებრივი დატვირთვის აკრძალვის შესახებ, არ დაკმაყოფილდეს.

4. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე:

/ხათუნა არევაძე/

მოსამართლეები:

/ლილი ტყემალაძე/

/ვანო წიკლაური/